ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45
2014 წლის 2 სექტემბერი

დ. ადიგენი

,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის №3 დადგენილებაში, კერძოდ: დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) ინფორმაცია (დასტური) გამგებლის წარმომადგენლისგან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომ მოქალაქე არის სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდისუუნარო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ლობჯანიძე**